



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

N 15

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. გარდაბანი**  
29.03.2024

15-06-4-202403291641



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების  
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 მარტის №18-1824085124 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 3**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე